დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭოს სხდომის
ოქმი N2

ქ. დმანისი 2016 წლის 15 ნოემბერი

სხდომას ესწრებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველები:

1. ჯონი ადუაშვილი;
2. ალმას ალლაზოვი;
3. ანა ბალახაძე;
4. ბადრი ციხელაშვილი;
5. ნოდარ ქართველიშვილი; (არ ესწრებოდა).
6. მადონა ბუცხრიკიძე;
7. ლალი მარტიაშვილი; (არ ესწრებოდა).
8. ნინო გურჩიანი; - (არ ესწრებოდა)
9. მერაბ სიხუაშვილი; (არ ესწრებოდა)
10. ინესა მანელოვა;
11. ინგა აბულაძე; - (არ ესწრებოდა)
12. გია ციხელაშვილი; (არ ესწრებოდა).
13. გოგი ზურაბიშვილი;
14. შოთიკო ჩხეტიანი

სხდომის თავმჯდომარე ბარბაქაძე გოგი, ასევე ესწრებოდნენ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თ.ტატულაშვილი და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი პ. ყულიაშვილი.

გამგებელმა მრჩეველთა საბჭოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86[1]-ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მადონა ბუცხრიკიზემ, ჯონი ადუაშვილმა, ბადრი ციხელაშვილმა და ინესა მანელოვამ, რომლებმაც განმარტეს, რომ გაცნობილი არიან ბიუჯეტის ზოგად პარამეტრებს სასურველი იქნება ქალაქში დასრულდეს შიდა გზების და გარე განათების მოწესრიგების საკითხი და ყურადღება მიექცეს ქალაქის გამწვანებას და დასუფთავებას.

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მრჩეველთა საბჭომ გადწყვიტა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 86[1]-ე მუხლის შესაბამისად მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარე: გოგი ბარბაქაძე